თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2025 წლის 24 დეკმბრის
რიგგარეშე სხდომის
ოქმი № 20

ქ. თერჯოლა 24 დეკემბერი 2025 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: 1.სოსო ჩაფიჩაძე, 2. დავით გოგბერაშვილი, 3. ჯემალ ისაკაძე, 4. სერგი ჯიხვაშვილი, 5. ნინო მახათაძე, 6. გიორგი ბარათაშვილი, 7. ბადრი ბუცხრიკიძე, 8. ბიძინა ბუცხრიკიძე, 9. ნინო ოქრუაძე, 10. ზურაბ ჩხიკვაძე, 11. ლაშა ლანჩავა, 12. ეკა ბერძენიშვილი, 13. ლაშა გურგენიძე, 14. იუზა უგრეხელიძე, 15. ომარ ჯიხვაშვილი, 16. მაკა ყიფშიძე, 17. ნატო კვეტენაძე, 18. ჯანო რობაქიძე, 19. ერეკლე კირკიტაძე, , 20. გიორგი თურქაძე, 21. მამული კოვზირიძე, 22. გიორგი ყაზაიშვილი, 23. გიორგი ბრეგაძე, 24. გიორგი ქასრაშვილი, 25. რამაზი ლორთქიფანიძე, 26. მირზა აფრიდონიძე, 27. მანუჩარ ფანჩულიძე, 28. გიორგი ბერეკაშვილი, 29. ნოდარი ხოხიაშვილი, 30. გრიგოლ გიორგაძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. გოჩა ვერულაშვილი 2. თემური ქოჩიაშვილი, 3. შალვა ჭანკვეტაძე, 4. ელისო მურადაშვილი, 5. ვლადიმერ მაკარიძე.

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 35 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 35 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 30 წევრი
კვორუმი: 18 წევრი

სხდომას ესწრებოდნენ: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი - მანუჩარ რობაქიძე.
თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი გოდერძი თურქაძე.

სხდომა დაიწყო 12 ⁰⁰ სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 13 სთ-ზე.

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის პროგრამული ბიუჯეტის დადგენილების პროექტის, 2026 წლის პროგრამული ბიუჯეტის დანართისა და 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვა (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282533979, 05.12.2025 წ.);

/მომხს.: ა..ურიადმყოფელი/

2. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ „ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 დეკემბრის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282535774, 23.12.2025 წ.);

/მომხს.: ზ.ჩხიკვაძე/

3. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (გამოაცხადოს ელექტრონული აუქციონი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, სოფელ გოდოგანში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 116602.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ №33.03.40.294) 2000.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის (წარმოდგენილი საიჯარო ფართობის მდებარეობის სიტუაციური ნახაზის მიხედვით) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით გასხვისებაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282535672, 22.12.2025 წ.);

/მომხს.: ბ.ბუცხრიკიძე/

4. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-28253583, 23.12.2025 წ.);

/მომხს.: გ.ბარათაშვილი/

5. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა სარგოები, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხს.: გ.ბარათაშვილი/

6. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობების პირებისა) საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხ.: გ.ბარათაშვილი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -30, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ავთანდილ ურიადმყოფელმა საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის პროგრამული ბიუჯეტის დადგენილების პროექტი, 2026 წლის პროგრამული ბიუჯეტის დანართი და 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი.
მიმდინარე წლის 25 ნოემბერს მერიას დავუბრუნეთ 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი შენიშვნებით, რაც გათვალისწინებულია წარმოდგენილ პროექტში, გარდა ამისა 1 დეკემბერს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული იქნა ახალი საბიუჯეტო პარამეტრები (განმარტებითი ბარათი თან ახლავს).

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-30, წინააღმდეგი-0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის პროგრამული ბიუჯეტის დადგენილების პროექტი(დადგენილება №25, 24/12/2025წ.).

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა ,საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჩხიკვაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 დეკემბრის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია მთავრობის განკარგულებამ, საშემოსავლო ნაწილის გაზრდამ და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.
ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 3063.3 ათასი ლარით და შეადგენს 41077.8 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი შემცირდა 706.3 ათასი ლარით: სხვა შემოსავლები 661.3 ათასი ლარით (ჯარიმები, სანქციები და საურავები) და არაფინანსური აქტივების ზრდა 45.0 ათასი ლარი).
საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 3769.6 ათასი ლარით: ქონების გადასახადის გეგმა გაიზარდა 791.0 ათასი ლარით. გრანტი გაიზარდა 2978.6 ათასი ლარით (რგფ-ის პროექტების დაფინანსება გაიზარდა 2778.6 ათასი ლარით და 200.0 ათასი ლარით გაიზარდა ფინანსური დახმარება).
ხარჯვითი ნაწილი შემცირდა 15.4 ათასი ლარით. მ/შორის:
გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია ექსპლოტაციის ხარჯი შემცირდა 4.2 ათასი ლარით.
წყლის სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის დაფინანსება შემცირდა 10.2 ათასი ლარით.
სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობის დაფინანსება შემცირდა 1.0 ათასი ლარით.
ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 3063.6 ათასი ლარით. მ/შორის:
გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯი გაიზარდა 2925.1 ათასი ლარით. (სოფ. ჩხარი ზედა ალისუბნის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 478.9 ათასი ლარით. სოფ. ღვანკითი-ტელეფას დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 327.5 ათასი ლარით. თერჯოლა-ახალთერჯოლის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 564.4 ათასი ლარით. სოფ. ეწერში ახალ უბანში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 111.0 ათასი ლარით. გოდოგანი ბროლისქედის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 291.5 ათასი ლარით. ალისუბანი აბისინიის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 262.4 ათასი ლარით. სოფ. გოგნში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 465.8 ათასი ლარით. სოფ. ქვედა სიმონეთში ზედა ნიკოლაძეების უბნისა და ბოჭორიშვილების უბნის გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 102.2 ათასი ლარით. ღვანკითში სოფ. ზოვრეთთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 175,2 ათასი ლარით. და ამ პროექტების თანადაფინანსება დაფინანსდება 146.3 ათასი ლარით.)
სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაფინანსება გაიზარდა 55.0 ათასი ლარით.
მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დაფინანსება გაიზარდა 10.0 ათასი ლარით.
სპორტული ღონისძიებების დაფინანსება გაიზარდა 30.0 ათასი ლარით.
ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება გაიზარდა 4.0 ათასი ლარით.
ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება გაიზარდა 10.0 ათასი ლარით.
სპორტული სკოლის დაფინანსება გაიზარდა 10.0 ათასი ლარით.
სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის დაფინანსება გაიზარდა 10.0 ათასი ლარით.
სახელოვნებო სკოლების დაფინანსება გაიზარდა 10.5 ათასი ლარით.
კულტურის სახლების დაფინანსება გაიზარდა 12.5 ათასი ლარით.
ბიბლიოთეკების დაფინანსება გაიზარდა 10.1 ათასი ლარით.
მუზეუმების დაფინანსება გაიზარდა 2.6 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 30, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 დეკემბრის №18

დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი (დადგენილება №28, 24/12/2025 წ.).

3.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (გამოაცხადოს ელექტრონული აუქციონი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, სოფელ გოდოგანში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 116602.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ №33.03.40.294) 2000.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის (წარმოდგენილი საიჯარო ფართობის მდებარეობის სიტუაციური ნახაზის მიხედვით) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით გასხვისებაზე განკარგულების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 11 აპრილის №ბ28.28231023 ბრძანების საფუძველზე მუნიციპალიტეტტსა და მოქ. ნ.მ-ს შორის აღნიშნულ ფართზე გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება, დღეის მდგომარეობით ხელშეკრულების მოქმედების ვადა ამოწურულია. სამხარაულის ექსპერტიზის მიერ მიწის ნაკვეთის ერთი თვის საიჯარო ქირის საბაზრო ღირებულება საორიენტაციოდ განისაზღვრა 300 ლარით. მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული საიჯარო ობიექტი გასხვისდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით, 2 წლის ვადით, შემდეგი პირობით: ნაკვეთზე შესაძლებელია განთავსდეს ისეთი კლასის ნაგებობები, რომელიც ზიანს არ მიაყენებს გარემო იერსახეს. ასევე ნაკვეთზე განსახორციელებელი სამუშაოები შეთანხმდეს მერიის შესაბამის სამსახურებთან.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 30, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (გამოაცხადოს ელექტრონული აუქციონი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, სოფელ გოდოგანში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 116602.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ №33.03.40.294) 2000.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის (წარმოდგენილი საიჯარო ფართობის მდებარეობის სიტუაციური ნახაზის მიხედვით) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით გასხვისებაზე განკარგულების პროექტი (განკარგულება №29.2925358001, 24/12/2025 წ.).

4.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის უხუცესმა წევრმა გიორგი ბარათაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - მომხსენებლის განმარტებით, საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მერვე თავის 24-ე მუხლი შესაბამისად, 2026 წლის 01 იანვრიდან დასაქმებულის საბაზო თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 1600 ლარის ოდენობით. აღნიშნულის გათვალისწინებითა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 23 დეკემბრის №28-

282535783 წერილის შესაბამისად, ცვლილების განხორციელებას საჭიროებს „მერიის თანამდეობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ დადგენილება. კერძოდ, მერიის თანამდებობის პირთა და მერიაში დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა ხელფასი იზრდება 10%-მდე.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -30, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი (დადგენილება №26, 24/12/2025 წ.).

5.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის უხუცესმა წევრმა გიორგი ბარათაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა სარგოები, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი.

ზემოთ აღნიშნული მიზეზითა და სამართლებრივი საფუძვლით, ასევე ცვლილება უნდა განხორციელდეს „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა სარგოების, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგეობის ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №19 და „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №7 დადგენილებაშიც. აქედან გამომდინარე, საკრებულოს თანამდებობის პირი წევრებისა და საჯარო მოსამსახურეთა თანამედბობის პირი წევრებისა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობაც იზრდება 10%-მდე.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -30, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა სარგოები, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი (დადგენილება №27, 24/12/2025 წ.).

6.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის უხუცესმა წევრმა გიორგი ბარათაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობების პირებისა) საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას წესის შესახებ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - თანამდებობაზე არ მყოფ საკრებულოს წევრებს, რომლებიც „ადგილობრივი თვითმმართველობის" კოდექსის 41-ე მუხლის თანახმად, თავისი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით იღებენ მხოლოდ ხარჯებს, საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს მატების გათვალისწინებით მიიღებენ ხარჯების გაზრდილ ოდენობას, რაც შეადგენს 984 ლარს.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -30, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობების პირებისა) საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი (დადგენილება №24, 24/12/2025 წ.).

სხდომის თავმჯდომარემ სოსო ჩაფიჩაძემ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე
სოსო ჩაფიჩაძე